

მეგანგაშე

ყოველი ეპოქა ახალი ლექსიკური ერთეულებით ამდიდრებს ენას. ახალი რეალიების გაჩენა, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების განვითარება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, სოციალურ ღირებულებათა და ორიენტირთა გადაფასება, პიროვნული და საზოგადოებრივი ცნობიერების სტერეოტიპთა ცვლა ენაში აისახება, ვინაიდან ენა არსებობს და ვითარდება საზოგადოებაში. სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების გააქტიურება ზრდის ახალი სიტყვების რაოდენობასაც და გასაკვირი არ არის ბოლო წლებში ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული ნეოლოგიზმების გაჩენა ჩვენს ენაში.

ლექსიკური ნეოლოგიზმის გაჩენა ნაკარნახევია ისეთი საგნის, მოვლენის, ცნების გადმოცემის აუცილებლობით, რომელიც მანამდე არ არსებობდა. ნეოლოგიზმი შეიძლება იყოს უცხო ენიდან ნასესხები ან კალკირებული ერთეული, ან ქართული სიტყვათწარმოების მოდელით შექმნილი ახალი სიტყვა. იქ, სადაც ენას თავად მოეპოვება ახალი ცნების გადმოცემის საშუალებები, ცხადია, ამ საშუალების გამოყენება სჯობს სხვისი სიტყვის გადმოღებას. თუ ეს ახალი სიტყვა ლინგვისტურად წარმატებული გამოდგა, მაშინ მას მიიღებს ენობრივი კოლექტივი, დაამკვიდრებს მეტყველებაში და იგი ქართული ლექსიკური ფონდის ერთეულად იქცევა.

ერთ-ერთი ახალი ცნება, რომლისთვისაც ქართული ეკვივალენტის გამოძებნის საჭიროება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ გვიკარნახა, გახლავთ ინგლისური **whistleblower**. ეს სიტყვა თავად ინგლისურშიც შედარებით ახალია და ნიშნავს ისეთ ადამიანს, რომელიც სკანდალურად აააშკარავებს (სამთავრობო ან კერძო) ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ან თანამშრომელთა ერთი ჯგუფის უკანონო საქმიანობას, ბრალს სდებს მათ და განგაშს ტყვს მათი ქმედების გამო. ეს ადამიანი ამავე ორგანიზაციის თანამშრომელია და იგულისხმება, რომ ხელი მიუწვდება სათანადო ინფორმაციაზე. დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნევა საზოგადოების ნდობის დაღატი, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მოსახლეობის უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და სხვ. whistleblower-მა სამხილი შეიძლება მიაწოდოს მედიას, მოწმედ წარსდგეს სასამართლო პროცესზე ან, უბრალოდ, საჯაროდ განაცხადოს ამ საქმიანობის შესახებ. მისი ნაბიჯი შეიცავს რისკის ფაქტორს და მოითხოვს გამბედაობას, რის გამოც ინგლისურში ამ სიტყვას აქვს უაღრესად დადებითი კონოტაცია. whistleblower-ებს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებათა გმირებს უწოდებენ. ქართულშიც შესაბამის სიტყვას არ უნდა ახლდეს უარყოფითი ელფერი, როგორც, მაგალითად, შემოთავაზებულ ვარიანტს – *ინფორმატორი*. გარდა ამისა, ამ ვარიანტის მიღებით, გაძნელება ისეთი გამოთქმების თარგმნა, როგორებიცაა environmental (გარემოსდაცვითი) whistleblower ან nuclear (ბირთვული) whistleblower.

მე გთავაზობთ პოტენციურ სიტყვას *მეგანგაშე*, რომელიც ქართული ენისთვის ბუნებრივ ფორმას წარმოადგენს და უარყოფითი კონოტაცია არ

ახლავს. თუ მხარს არ უჭერთ ჩემს მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენეული ვარიანტები. და დამიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე rusiko@caucasus.net.